ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6651929

ნომერი: AR1987933

თარიღი : 05.09.2023

გაცემის თარიღი : 07.09.2023

გაცნობის თარიღი : 27.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ქიშმარაია პ/ნ 55001006092
- საქართველო, ხონი, მოსე ხონელის ქ.N 99

ორგანიზაცია:
- შპს ,,ნიუ ფემილი 1" კოდი: 405499205

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 5 სექტემბერს №AR1987933 განცხადებით მომართა გიორგი ქიშმარაიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 16 მაისის ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე №01.72.14.040.856 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 24 ივლისიდან 2025 წლის 24 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „დაკი“ (პ/ნ: 405183055).

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის შპს „დაკის“ (პ/ნ: 405183055) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „ნიუ ფემილი 1“-ის (ს/ნ: 405499205) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882023951213, მომზადების თარიღი: 05/09/2023 წ.) თანახმად №01.72.14.040.856 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ნიუ ფემილი 1“ (ს/ნ: 405499205). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23093817, მომზადების თარიღი: 03/07/2023 წ.) თანახმად, შპს „ნიუ ფემილი 1“-ის (ს/ნ: 405499205) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი ქიშმარაია (პ/ნ: 55001006092). შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.72.14.040.856 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ნიუ ფემილი 1“ (ს/ნ: 405499205), რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ნიუ ფემილი 1“-ის (ს/ნ: 405499205) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „დაკის“ (პ/ნ: 405183055) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ნიუ ფემილი 1“ (ს/ნ: 405499205).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578141 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.